საქმე №2ბ/2021-12

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

21 ივნისი, 2012 წ. ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო

სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა

თავმჯდომარე, მომხსენებელი – გოდერძი გიორგიშვილი
მოსამართლეები - თინათინ ეცადაშვილი
ირაკლი ადეიშვილი

სხდომის მდივანი – ნანა კაბულაშვილი

აპელანტი – შპს ,,ჯეო ცნობარი'' (მოპასუხე)

წარმომადგენლები - ირაკლი შარაბიძე, ნათია გოჩიტაშვილი

მოწინააღმდეგე მხარე - სს ,,ინფოჯორჯია XXI'' (მოსარჩელე)

წარმომადგენლები - თეიმურაზ ხონელია, ნინო ნადირაშვილი

დავის საგანი – მონაცემთა ბაზის უკანონო გამოყენების აკრძალვა და მოპასუხის არამართლზომიერი ფლობიდან მისი გამოთხოვა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება

1. აპელანტის მოთხოვნა

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებზე უარის თქმა.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ს სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარს" აეკრძალა მოსარჩელის კუთვნილი მონაცემთა ბაზის უკანონო გამოყენება და დაევალა ამ ბაზის მოსარჩელისათვის დაბრუნება.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

უდავო ფაქტობრივი გარემოებები

2.1 სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ არსებობს.

დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

2.2 2001 წლიდან დღემდე სს ,,ინფოჯორჯია XXI" ეწევა სატელეფონო საინფორმაციო მომსახურებას და ბაზარზე წარმოდგენილია ,,საინფორმაციო ცენტრ 09-ის" სახელით (ს.ფ. 17,18-23,24).

2.3 სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურების გაწევისათვის მოსარჩელე იყენებს ნუმერაციის რესურს – 09-ს, რომლის გამოყენების უფლებას მას ამ საქმიანობისათვის 2007 წლიდან დღემდე ანიჭებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (ს.ფ. 47-50).

2.4 სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურების გაწევა ეფუძნება სისტემური და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შექმნილ ინფორმაციის საძიებელ ბაზას ე.წ. მონაცემთა ბაზას, რომელიც დამუშავებულია ელექტრონულ ფორმატში კომპიუტერული პროგრამის უზრუნველყოფით. ამ ბაზის მეშვეობით მოსარჩელე აწარმოებს კონკრეტული სატელეფონო აბონენტისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიებას და მისთვის მიცემას.

2.5 მოსარჩელის ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს ყველა შესაძლო მოთხოვნადი ინფორმაციის მოპოვება/დამუშავება და სათანადო მონაცემთა ბაზაში მოქცევა, რისთვისაც შექმნა მონაცემთა ბაზა და მოახდინა მისი დეპონირება საქპატენტში (ს.ფ. 21).

2.6 2007 წელს მოპასუხე გიორგი ქოჩლაძე გათავისუფლდა სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ს გენერალური დირექტორის თანმდებობიდან (ს.ფ. 22).

2.7 2006 წლიდან დღემდე შპს ,,ჯეო-ცნობარი" ეწევა სატელეფონო საინფორმაციო მომსახურებას და ბაზარზე წარმოდგენილია ,,საინფორმაციო ცენტრ 08-ის" სახელით (ს.ფ. 168-173).

2.8 სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურების გაწევისათვის მოპასუხე იყენებს ნუმერაციის რესურს 08-ს, რომლის გამოყენების უფლებას მას ამ საქმიანობისათვის 2006 წლიდან დღემდე ანიჭებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (ს.ფ. 168-173).

2.9 მოპასუხე შპს ,,ჯეო-ცნობარია" ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი გიორგი ქოჩლაძე (ს.ფ. 166).

2.10 ნუმერაციის რესურს 08-ის გამოყენებას სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურებისათვის 2008-2009 წლებში ეწეოდა მოპასუხე შპს ,,ცნობარი 08", 2010-2011 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვემდე (ჩათვლით) მოპასუხე შპს ,,საინფორმაციო სამსახური 08" და 2011 წლის 29 ნოემბრის შემდგომ კი მონაცემთა ბაზით სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურებისათვის ნუმერაციის რესურსი 118-08-ის გამოყენების უფლება (ლიცენზიის გაუქმებით) მიენიჭა მხოლოდ და მხოლოდ შპს ,,ჯეო ცნობარს".

2.11 ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 02 აპრილის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საქმის მასალებიდან გამომდინარე ექსპერტების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ შედარება მომხდარიყო შპს ,,ჯეო ცნობარი"-ს 2011 წლის მონაცემთა ბაზასა და სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ს 2006 წლის ბაზას შორის, რადგან მათი დამთხვევის ალბათობა გაცილებით მეტი იყო ვიდრე 2012 წლის სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ს ბაზას შორის, ვინაიდან ეს უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში განიცდიდა ცვლილებებს.

2.12 2012 წლის 02 მარტის ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განჩინებაში დასმულ შეკითხვებზე (ს.ფ. 318) ექსპერტების მიერ პასუხი გაცემულ იქნა შემდეგნაირად:

1. შპს ,,ჯეო ცნობარიდან" ამოღებული მონაცემთა ბაზის სტრუქტურა, მოცულობა და მონაცემები იძლევა სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების საშუალებას.

2. შპს ,,ჯეო ცნობარიდან" ამოღებული მონაცემთა ბაზის სქემები, პროცედურები, მომხმარებლები და ტრიგერები არ ემთხვევა სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მიერ წარმოდგენილ მონაცემთა ბაზის შესაბამის ელემენტებს, ხოლო რაც შეეხება ცხრილების სახელების დამთხვევას, მისი პროცენტული მაჩვენებელი არის 7.9%, სადაც სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის 242 ცხრილიდან 19 ცხრილი დაფიქსირდა იგივე დასახელებით შპს ,,ჯეო ცნობარის" მონაცემთა ბაზაში (იხ. დანართი №5). ასევე შედარებულ იქნა საერთო დასახელების მქონე ცხრილების შესაბამისი ველები სახელების მიხედვით და დამთხვევის პროცენტულობამ შეადგინა 36,3%, სადაც 19 ცხრილის 113 ველიდან დაემთხვა 41 ველის დასახელება (იხ. დანართი №6). ასევე ვიუერებში არის 1 დამთხვევა დასახელების მიხედვით (იხ. დანართი №5).

3. პროგრამული უზრუნველყოფიდან მონაცემთა ბაზაზე მიმართვები და პროცედურების პარამეტრების თანმიმდევრობა არ ემთხვევა.

4. წარმოდგენილი ბაზების შედარების შედეგად დადგინდა:

სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მონაცემთა ბაზის 242 ცხრილიდან 205 ცხრილი ვერ მოიძებნა შპს ,,ჯეო ცნობარის" მონაცემთა ბაზაში ან შედარება ვერ მოხერხდა ცხრილების სტრუქტურიდან გამომდინარე, რომელმაც შეადგინა 84.7% (იხ. დანართი №7);

შპს ,,ჯეო ცნობარის" მონაცემთა ბაზის 176 ცხრილიდან 139 ცხრილი ვერ მოიძებნა სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მონაცემთა ბაზაში ან შედარება ვერ მოხერხდა ცხრილების სტრუქტურიდან გამომდინარე, რომელმაც შეადგინა 79% (იხ. დანართი №8);

გამოკვლეულ იქნა ძირითადი საინფორმაციო (სერვისის მიწოდებისათვის საჭირო) ცხრილები - შპს ,,ჯეო ცნობარის" და სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მონაცემთა ბაზებიდან.

სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მონაცემთა ბაზის 42 ცხრილი შედარდა შპს ,, ჯეო ცნობარის" 40 ცხრილს, სადაც გამოვლინდა ცხრილების ნაწილობრივი ან სრული დამთხვევა მონაცემებში ან/და მათი შეყვანის თანმიმდევრობაში. მსგავსების პროცენტული მაჩვენებლები იხილეთ დანართში №11;

5. ორივე მონაცემთა ბაზაში მონაცემების შესადარებლად ექსპერტების მიერ არჩეულ იქნა ორი მეთოდი:

მსგავსი შეცდომების მოძიება და შედარება (იხ. დანართი №№49-50);

ცხრილის მონაცემების დალაგება იდენტიფიკატორის მიხედვით და მონაცემების შეყვანის თანმიმდევრობის დადგენა ამ მეთოდის საშუალებით (იხ. დანართი №12-48);

სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის და შპს ,,ჯეო ცნობარის" წარმოდგენილი პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამირების ენები და გრაფიკული ინტერფეისები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან;

7. სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის და შპს ,,ჯეო ცნობარის" შემოსული ზარების პირველადი მიღების ადგილები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

8. ვინაიდან მონაცემთა ბაზის სტრუქტურები და პროგრამული უზრუნველყოფის ენები და გრაფიკული ინტერფეისები განსხვავდებიან, შესაბამისად ბაზებში ინფორმაციის ძებნა მიმდინარეობს განსხვავებული მეთოდებით.

9. შეკითხვაზე პასუხი გაცემულია ზემოთ მოყვანილ პასუხებში.

10. სისტემების (მონაცემთა ბაზების და პროგრამული უზრუნველყოფების) განსხვავებული არქიტექტურიდან გამომდინარე ე.წ. ,,ბიზნეს ლოგიკა" არ არის იდენტური.

11. მონაცემთა ბაზების ის ცხრილები, რომელთა დამთხვევაც ვერ იქნა გამოვლენილი ან შედარება ვერ მოხერხდა შესაბამისად მოყვანილია დანართებში №№7-8.

იმ მონაცემებიდან გამომდინარე, რომელთა შედარებაც მოხერხდა და იქნა გამოვლენილი მსგავსებები (იხ. დანართი №11-50), გვაძლევს იმის საშუალებას დავასკვნათ, რომ ისინი აღებულია საერთო წყაროდან (მონაცემთა ბაზიდან, ცხრილებიდან ან სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან). (ს.ფ. 327-328).

2.13 2012 წლის 17 აპრილის სასამართლო სხდომაზე ექსპერტი გიორგი შარაბიძე დაეთანხმა ექსპერტიზის დასკვნას და განმარტა, რომ იმ მონაცემებიდან გამომდინარე, რომელთა შედარებაც მოხერხდა და იქნა გამოვლენილი მსგავსებები (იხ. დანართი №№11-50), ისინი აღებულია საერთო წყაროდან (მონაცემთა ბაზიდან, ცხრილებიდან ან სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან). ხოლო სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ს მონაცემთა ბაზა წარმოადგენს თუ არა საერთო წყაროს აღნიშნულის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან შედარება მოხდა შპს ,,ჯეო ცნობარი"-ს 2011 წლის მონაცემთა ბაზასთან, რომელიც 2006 წლის შემდეგ ეს უკანასკნელი განიცდიდა ცვლილებებს (იხ. 2012 წლის 17 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი, ს.ფ. 474).

2.14 2012 წლის 17 აპრილის სასამართლო სხდომაზე ექსპერტი ალექსი პოტაპოვი დაეთანხმა ექსპერტიზის დასკვნას და განმარტა, რომ გამოკვლეულ იქნა ძირითადი საინფორმაციო (სერვისის მიწოდებისათვის საჭირო) ცხრილები - შპს ,,ჯეო ცნობარის" და სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მონაცემთა ბაზებიდან, რომლებიც საჭიროა სერვისის მიწოდებისათვის და მოახდინეს მათი შედარება, რის საფუძველზეც შემცირდა შესადარებელი ცხრილები. შპს ,,ჯეო ცნობარის" მონაცემთა ბაზის ცხრილებიდან სერვისის მიწოდებისათვის საჭიროა 59 ცხრილი, რომელთაგანაც შედარდა 42 სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ს ცხრილთან, რომელიც მოყვანილია ექსპერტიზის დასკვნის დანართში №9-10, ხოლო დანართ №11-ში მოცემულია სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ს მონაცემთა ბაზის ცხრილები, რომლებიც იქნა ნაპოვნი და შედარებული შპს ,,ჯეო ცნობარის" მონაცემთა ბაზაში არსებულ ცხრილებთან. ცხრილების შედარება მოხდა როგორც შეყვანის თანმიმდევრობაში, ასევე მონაცემებში და დამთხვევადობა პროცენტების სახით მითითებული არის №11 დანართში. ხოლო შეყვანის თანმიმდევრობაში (ID) დამთხვევადობა ცხადყოფს, რომ ეს ცხრილები აღებულია ერთი და იგივე მონაცემთა ბაზიდან (იხ. 2012 წლის 17 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი, ს.ფ. 474).

2.15 2012 წლის 17 აპრილის სასამართლო სხდომაზე ექსპერტი პაატა ლომინაძე დაეთანხმა ექსპერტიზის დასკვნას და განმარტა, რომ ინფორმაციის წყარო შეიძლება არც მოსარჩელის მონაცემთა ბაზა იყოს და არც მოპასუხის. ხოლო სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ს მონაცემთა ბაზა წარმოადგენს თუ არა საერთო წყაროს აღნიშნულის დადასტურება არ

ეუძლია, თუმცა შესაძლებელია (იხ. 2012 წლის 17 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი, ს.ფ. 474).

2.16 ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ დაადგინა, რომ შპს ,,ჯეო ცნობარის" ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზას საწყისად აღებული აქვს 2006-2007 წლების პერიოდში სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ში დამუშავებული მონაცემთა ბაზის ვერსია, რომელიც არსებობდა 09-ში გიორგი ქოჩლაძის დირექტორად მუშაობის მომენტისათვის და რომელზედაც ამ უკანასკნელს თანამდებობიდან გამომდინარე მიუწვდებოდა ხელი (იხ. 2012 წლის 30.04.12. წლის სხდომის ოქმის ჩანაწერი 14:23 საათი). ხოლო 2007 წლის დასასრულიდან გიორგი ქოჩლაძე აღარ წარმოადგენდა სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის გენერალურ დირექტორს და მას მონაცემთა ბაზასთან შემხებლობა სწორედ ამ პერიოდიდან შეუწყდა. ამასთან, სასამართლო სხდომაზე მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარის" წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ექსპერტიზის ჩატარების დროს შეყვანის თანმიმდევრობაში (ID) დამთხვევადობა ცხადყოფს, რომ ეს ცხრილები აღებულია ერთი და იგივე X მონაცემთა ბაზიდან, თუმცა აღნიშნული მონაცემთა ბაზის წყაროს მითითება მოპასუხემ ვერ შეძლო. რაც შეეხება პრაქტიკულ ფუნქციონირებას, საინფორმაციო ცენტრ 08-მ დაიწყო 2008 წლის შემოდგომით შპს ,,ცნობარი 08"-ის სახელით, ესე იგი მას მერე რაც გიორგი ქოჩლაძემ (დღევანდელი შპს ,,ჯეო ცნობარის" დირექტორი) დატოვა თანამდებობა, რომელიც შემდგომში ფუნქციონირების შეუწყვეტად ჯერ 2009 წლის გაზაფხულზე ჩანაცვლდა შპს ,,საინფორმაციო სამსახურ 08"-ით და ბოლოს კი 2011 წლის შემოდგომაზე შპს ,,ჯეო ცნობარით". ამდენად, მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარის" ოფიციალური ვერსიით, მის ხელთ არსებული მონაცემთა ბაზით საინფორმაციო საქმიანობა წარმოებს 2008 წლის შემოდგომიდან. შესაბამისად, 2008 წლიდან დღემდე წარმოებს მოპასუხე ,,ჯეო ცნობარის" ხელთ არსებული მონაცემთა ბაზის განახლება/გადაკეთება (რასაც არ უარყოფს მოპასუხე მხარე).

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მონაცემთა ბაზის სტრუქტურისა ანუ ინფორმაციის ლოგიკურ წყობასა და მათ ურთიერთკავშირთან მიმართებაში საექსპერტო გამოკვლევამ, შედარებულ ორივე ბაზაში, გამოყო ინფორმაციის ლოგიკური წყობის ის ბირთვები (დასკვნის: დანართი №9 და დანართი №10), რომლებიც უშუალოდ გამოიყენება საინფორმაციო მომსახურებისათვის. ექსპერტიზამ ასევე გამოკვეთა მონაცემთა ბაზის ის ნაწილებიც, რომლებიც დროებითი ხასიათისაა და არ გამოიყენება საინფორმაციო მომსახურებისათვის (დასკვნის: დანართი №7 და დანართი №8).

შედარებული ბაზების გამოკვლევით ორივე შემთხვევაში დადგინდა, რომ ბაზაში ინფორმაციები დახარისხებულია ცხრილებით და ეს უკანასკნელი კი ცალკეული ველებით, რომლებიც ერთმანეთთან იმყოფება ლოგიკურ კავშირში.

საექსპერტო დასკვნის დანართ №7-სა და დანართ №8-ში ჩამოთვლილია ის ცხრილები, რომლებიც ვერ იქნა მოძიებული შესადარებელ ბაზებში და შესაბამისად ვერ იქნა ერთმანეთთან შედარებული. ამ დანართებში მითითებული ეს ცხრილები არ არის საინფორმაციო მომსახურების ბირთვი, მათი ფუნქციური დანიშნულებაა დროებითობა, სისტემურობა და საერთო ჯამში დამხმარე ხასიათი გააჩნიათ. უფრო მეტიც ამ ცხრილებით პრაქტიკულად არ წარმოებს საინფორმაციო მომსახურების გაწევა და ამასაც რომ თავი დავანებოთ ეს ცხრილები არ არის ინფორმაციის მატარებელი. შესაბამისად, ,,ინფოჯორჯია XXI"-ის და შპს ,,ჯეო ცნობარის" ბაზების იდენტურობა მონაცემთა ბაზის სტრუქტურით, იგივე ინფორმაციის ლოგიკური წყობითა და მათი ურთიერთკავშირით წარმოდგენილი საექსპერტო გამოკვლევით სრულად სახეზეა.

მონაცემთა დამთხვევადობა გამოვლინდა ,,ინფოჯორჯია XXI"-ის და შპს ,,ჯეო ცნობარის" ბაზების აგრეთვე: 1. შინაარსობრივი დამთხვევა (მაგ. ფიზიკურ პირ აბონენტების შემთხვევაში დამთხვევა სახელში, გვარსა და კომენტარებში, იგივე გვხვდება სხვა სახის ჩანაწერებში); 2. დამთხვეული მონაცემების შეყვანის (ბაზაში ასახვის) თანმიმდევრობაში დამთხვევა. (მაგ. ბაზაში მონაცემების შეყვანა იდენტური შემოკლებებით, აბრევიატურებით, დასახელებებით, პირობითი აღნიშვნებითა და ზუსტად იდენტური ორთოგრაფიული/გრამატიკული შეცდომებით), 3. დამთხვეული მონაცემების დამთხვევა მონაცემთა ბაზის იდენტიფიკატორში (უნიკალურ რიცხვში, იგივე ID-ში). გარდა ასეთი შინაარსობრივი დამთხვევადობისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დანართ №50-ში შედარებული ინფორმაციის შინაარსობრივი დამთხვევადობა. კერძოდ კი, ამ დანართის მე-12, მე-13, მე-14, მე-20, და 21-ე პოზიციაზე ასახული ინფორმაცია ჩანაწერის გაუქმების თაობაზე ერთნაირადაა მოცემული 09-ის 2006 წლის ბაზასა და 08-ის 2011 წლის (თუნდაც 2008 წლის საწყის) ბაზაში. საინტერესოა 2006 წელს გაუქმებული ჩანაწერი როგორ და რა გზით ხვდება 08-ის თუნდაც საწყის 2008 წლის ბაზაში, მაშინ როდესაც 2008 წლის მდგომარეობით, ანუ მაშინ როდესაც 08-მ დაიწყო ფუნქციონირება, ასეთი ინფორმაცია გამოუსადეგართან ერთად პრაქტიკულად ხელმიუწვდომელიც კი იყო. რაც შეეხება მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარის" მხრიდან სასამართლო სხდომაზე და არც საქმის მასალებში საწინააღმდეგო მტკიცებულება ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, შპს ,,ჯეო ცნობარში" არსებულ მონაცემთა ბაზას საწყისად აღებული აქვს სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ში დამუშავებული მონაცემთა ბაზის ვერსია, რომელიც არსებობდა 09-ში გიორგი ქოჩლაძის დირექტორად მუშაობის მომენტისათვის.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების გაწევა ეფუძნება სისტემური და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შექმნილ ინფორმაციის საძიებელ ბაზას. ეგრეთ წოდებულ მონაცემთა ბაზას, რომელიც დამუშავებულია ელექტრონულ ფორმატში კომპიუტერული პროგრამის უზრუნველყოფით. სწორედ ამ მონაცემთა ბაზის მეშვეობით მოსარჩელის სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მიერ წარმოებს კონკრეტული სატელეფონო აბონენტისათვის მოთხოვნილი ინფრომაციის მოძიება და მისთვის მიცემა. შესაბამისად, მოსარჩელის ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს ყველა შესაძლო მოთხოვნადი ინფორმაციის მოპოვება/დამუშავება და სათანადო მონაცემთა ბაზაში მოქცევა, რომლის გარეშეც პრაქტიკულად შეუძლებელია სწრაფი და ეფექტური სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურების აბონენტისათვის გაწევა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ უზარმაზარი ინვესტიციით/კაპიტალდაბანდებით შექმნა უნიკალური მონაცემთა ბაზა და მოახდინა მისი დეპონირება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ცენტრში - საქპატენტში. ხსენებული მონაცემთა ბაზა ეფუძნება წლების განმავლობაში მოპოვებულ და დამუშავებულ ინფორმაციას. საწინააღმდეგო მტკიცებულება მოპასუხის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი.

2.17 სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი

ყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად კი, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარიდან" ამოღებული მონაცემთა ბაზა წარმოებულია სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მონაცემთა ბაზიდან, შესაბამისად მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარის" მონაცემთა ბაზის წყაროს წარმოადგენდა მოსარჩელე სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მონაცემთა ბაზა.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.18 საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლი ამკვიდრებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელშეუვალობის პრინციპს, ხოლო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს საავტორო უფლების დაცვის წინაპირობებსა და მექანიზმს.

2.19 „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ეს კანონი არეგულირებს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამავე კანონის მე-4 მუხლის "ნ" ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა ბაზა არის – სისტემური ან მეთოდური წესით განლაგებული ნაწარმოებების ან/და სხვა მონაცემებისა და მასალის კრებული, რომელიც ინდივიდუალურად ხელმისაწვდომია ელექტრონული ან სხვა საშუალებებით.

2.20 საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დაცვის საგანია ეკონომიკური და ტექნიკური სამუშაოს შესრულება მონაცემთა ბაზის შექმნისათვის. ეს მომიჯნავე უფლებები საავტორო უფლებებისაგან უნდა განვასხვავოთ. მონაცემთა ბაზის არსს განსაზღვრავს კანონის მე-4 მუხლის "ნ" ქვეპუნქტი და მოიცავს ნაწარმოებების, მონაცემებისა და სხვა დამოუკიდებელი ელემენტების ნაკრებს, რომლებიც სისტემურად ან მეთოდურადაა დალაგებული და ცალ-ცალკე ელექტრონული საშუალებების დახმარებით ან სხვა რაიმე გზით ხდება ხელმისაწვდომი.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სწორედ ამ მონაცემთა ბაზის მეშვეობით მოსარჩელის – სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მიერ წარმოებს კონკრეტული სატელეფონო აბონენტისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება და მისთვის მიცემა. შესაბამისად, მოსარჩელის ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს ყველა შესაძლო მოთხოვნადი ინფორმაციის მოპოვება/დამუშავება და სათანადო მონაცემთა ბაზაში მოქცევა, რომლის გარეშეც პრაქტიკულად შეუძლებელია სწრაფი და ეფექტური სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურების აბონენტისათვის გაწევა. უფრო მეტიც, მონაცემთა ბაზის გარეშე, რომელიც, როგორც აღინიშნა, იწყობა სატელეფონო მომსახურების სპეციფიკის მიხედვით, შეუძლებელია ამ საქმიანობის განხორციელება.

2.21 „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა ბაზის ის დამამზადებლები არიან დაცული, რომლებსაც შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ ელემენტების მოპოვება, გადამოწმება თუ

...ამოდგენა მათი ხასიათისა და მოცულობიდან გამომდინარე სოლიდურ ინვესტიციას ...ჭიროებდა. მონაცემთა ბაზის მაგალითებია: სატელეფონო წიგნები, სასტუმროსა და სამოგზაურო ტურების დაჯავშნის სისტემები და ა.შ. საავტორო უფლებების დაცვისაგან განსხვავებით, მომიჯნავე უფლებებით დაცული მონაცემთა ბაზის ელემენტების დასალაგებლად და ასარჩევად პირადი ინტელექტუალური სამუშაოს შესრულება არ არის აუცილებელი. მონაცემთა ბაზის დამამზადებლებს ამავე კანონის 54-ე მუხლის საფუძველზე გააჩნიათ განსაკუთრებული უფლება, აკრძალონ ან დაუშვან მონაცემთა ბაზის მთლიანად ან შინაარსისა თუ მოცულობის მიხედვით მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილების ამოღება, აგრეთვე აკრძალონ ან დაუშვან გადამრავლებული ასლების თხოვების ან მფლობელობის სხვაგვარი გადაცემის მეშვეობით მათი განმეორებითი გამოქვეყნება და შესაბამისად, ამით სარგებლობა. მონაცემთა ბაზის თვისობრივად და მოცულობით უმნიშვნელო ნაწილებით სისტემატიური თუ განმეორებითი სარგებლობა დაუშვებელია, თუ ეს მონაცემთა ბაზის ნორმალურ გამოყენებას ზიანს აყენებს და მონაცემთა ბაზის დამამზადებლების სამართლიან ინტერესებსაც შეუსაბამოდ ლახავს.

კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სწორედ მოსარჩელის საქმიანობის შედეგად შეიქმნა კონკრეტული მონაცემთა ბაზა. ამასთან, მოსარჩელე სს ,,ინფოჯორჯია XXI"-მ უზარმაზარი ინვესტიციით/კაპიტალდაბანდებით შექმნა უნიკალური მონაცემთა ბაზა და მოახდინა მისი დეპონირება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ცენტრში - საქპატენტში. ხსენებული მონაცემთა ბაზა ეფუძნება წლების განმავლობაში მოპოვებულ და დამუშავებულ ინფორმაციას.

2.22 „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით მოიცავს უფლებას განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენება.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება აქვს დამრღვევისაგან მოითხოვოს უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ შპს ,,ჯეო ცნობარის" ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზა აღებულია სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ში დამუშავებული მონაცემთა ბაზიდან, ხოლო აღნიშნული მონაცემთა ბაზა წარმოადგენს მოსარჩელის კუთვნილ მონაცემთა ბაზას, რომელიც არსებობდა 09-ში გიორგი ქოჩლაძის დირექტორად მუშაობის მომენტისათვის და რომელზედაც ამ უკანასკნელს თანამდებობიდან გამომდინარე მიუწვდებოდა ხელი (იხ. 2012 წლის 30.04.12. წლის სხდომის ოქმის ჩანაწერი 14:23 საათი). ხოლო 2007 წლის დასასრულიდან გიორგი ქოჩლაძე აღარ წარმოადგენდა სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის გენერალურ დირექტორს და მას მონაცემთა ბაზასთან შემხებლობა სწორედ ამ პერიოდიდან შეუწყდა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომაზე მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარის" წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ექსპერტიზის ჩატარების დროს შეყვანის თანმიმდევრობაში (ID) დამთხვევადობა ცხადყოფს, რომ ეს ცხრილები აღებულია ერთი და იგივე X მონაცემთა ბაზიდან, თუმცა აღნიშნული მონაცემთა ბაზის წყაროს მითითება მოპასუხემ ვერ შეძლო. რაც შეეხება პრაქტიკულ ფუნქციონირებას, საინფორმაციო ცენტრ 08-მ იგი დაიწყო 2008 წლის შემოდგომით შპს ,,ცნობარი 08"-ის სახელით, ე.ი. მას მერე რაც გიორგი ქოჩლაძემ (დღევანდელი შპს ,,ჯეო ცნობარის" დირექტორი) დატოვა თანამდებობა, რომელიც

ემდგომში ფუნქციონირების შეუწყვეტლად ჯერ 2009 წლის გაზაფხულზე ჩანაცვლდა შპს ,,საინფორმაციო სამსახურ 08"-ით და ბოლოს კი 2011 წლის შემოდგომაზე შპს ,,ჯეო ცნობარით". ამდენად, მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარის" ოფიციალური ვერსიით მის ხელთ არსებული მონაცემთა ბაზით საინფორმაციო საქმიანობა წარმოებს 2008 წლის შემოდგომიდან. შესაბამისად, 2008 წლიდან დღემდე წარმოებს მოპასუხე ,,ჯეო ცნობარის" ხელთ არსებული მონაცემთა ბაზის განახლება/გადაკეთება, (რასაც არ უარყოფს მოპასუხე მხარე).

ამდენად, ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები ქმნის იმ სამართლებრივ წინაპირობებს რის საფუძველზეც სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ მოსარჩელე სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ს სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანობის გამო უნდა დაკმაყოფილებულიყო. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარს" უნდა აკრძალვოდა სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ს კუთვნილი მონაცემთა ბაზის უკანონო გამოყენება (იმ მონაცემთა ბაზის გამოყენება, რომლითაც მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარი" ეწევა სამიანობას) და დავალბოდა ამ ბაზის მოსარჩელისათვის დაბრუნება.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

ფაქტობრივი საფუძვლები

საჩივრის მიხედვით, 2012 წლის 17 აპრილს ჩატარებული სასამართლო სხდომის (ამ სხდომაზე დაიკითხნენ ექსპერტები) საფუძველზე სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას, სასამართლო გადაწყვეტილების 3.2.12 და 3.2.13 და 2.1.14 პუნქტებში მიუთითებს, მხოლოდ ექსპერტების იმ განმარტებებზე, რომლებიც ეხება მონაცემთა ბაზების შედარებისას იმ მცირე (საერთო მოცულობიდან გამომდინარე) ინფორმაციული სახის დამთხვევითობაზე და მათი მიღების წყაროზე, რომლების თანხვედრაც მოხდა ექსპერტიზის ჩატარების შედეგად. აპელანტის განმარტებით, სინამდვილეში ექსპერტებმა ჩააატარეს გაცილებით მეტი სამუშაო და საინფორმაციო ბაზების შედარებისას გამოავლინეს მნიშვნელოვანი ასპექტები, რაშიც არ ემთხვევა მხარეთა მონაცემთა ბაზები.

სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას მოსამართლე 3.2.13 პუნქტში მიუთითებს ექსპერტ ალექსი პოტაპოვის მხოლოდ იმ განმარტებაზე, რომელიც ეხება შედარებული ინფორმაციის მხოლოდ იმ მცირე ნაწილს, რაშიც მოხდა დამთხვევა და ამ დამთხვევის სახეებს (შეყვანის თანმიმდევრობაში დამთხვევა, მონაცემებში ერთნაირი ინფორმაციის არსებობა და ე.წ "აი დი"-ების იდენტურობა). თუმცა მოსამართლის მიერ არ არის დაფიქსირებული ამ დამთხვევითობების მიზეზები, მათი ოდენობა ან პროცენტულობა ბაზაში არსებულ საერთო ინფორმაციასთან მიმართებაში.

სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას სასამართლო 3.2.14 პუნქტში მიუთითებს, რომ ექსპერტ პაატა ლომინაძის განმარტებით, ინფორმაციის წყარო შეიძლება არც მოსარჩელის მონაცემთა ბაზა იყოს და არც მოპასუხის, ხოლო სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მონაცემთა ბაზა წარმოადგენს თუ არა საერთო წყაროს, აღნიშულის დადასტურება არ შეუძლია. მოსამართლე აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების სასამართლო გადაწყვეტილებაში ფიქსირებისას არ მიუთითებს იგივე ექსპერტის განმარტებაზე, რომ ეს არის თეორიული შესაძლებლობა და, რომ

ექსპერტის აზრით, თეორიულად აგრეთვე შესაძლებელია შპს "ჯეოცნობარის" მონაცემთა ბაზა იყოს "09"-ის მონაცემთა ბაზის წყარო.

3.2.15. პუნქტში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რომ შპს "ჯეო ცნობარის" ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზას საწყისად აღებული აქვს 2006-2007 წლების პერიოდში სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ში დამუშავებული მონაცემთა ბაზის ვერსია.

აპელანტის მოსაზრებით, ექსპერტების განმარტებებიდან გამომდინარე, სრულიად გაუგებარი და ლოგიკას მოკლებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი ზემოაღნიშნული დასკვნა, ვინაიდან:

1) სასამართლოს მიერ 3.2.12, 3.2.13 და 3.2.14 პუნქტებში მოყვანილი გარემოებები ეხება, მხოლოდ მონაცემთა ბაზაში არსებულ იმ საინფორმაციო ხასიათის ზოგიერთ მონაცემს (და არა უმრავლეს მონაცემს და მითუმეტეს მთელ ბაზას), რომლებშიც არის ინფორმაციის სხვადასხვა სახის დამთხვევა და ამ ინფორმაციის მიღების წყაროს განხილვა. შესაბამისად გაუგებარია მოსამართლის დასკვნა მთელი მონაცემთა ბაზის წარმომავლობაზე.

2) ყველა ექსპერტმა დაადასტურა, რომ ისინი ეთანხმებიან მათ მიერ ხელმოწერილ საექსპერტო დასკვნაში აღნიშნულ მოსაზრებას, რომ იმ მონაცემებიდან გამომდინარე, რომელთა შედარებაც მოხერხდა (ანუ სხვა მონაცემები განსხვავებული იყო და მათი შედარება ვერ მოხერხდა) და იქნა გამოვლენილი მსგავსებები, აღებულია საერთო წყაროდან (მონაცემთა ბაზიდან, ცხრილებიდან ან სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან). ანუ კონკრეტული ერთი სახის დამთხვეული ინფორმაცია შეიძლება აღებული იყოს რომელიმე კომპანიის მონაცემთა ბაზიდან.

3) არცერთი ექსპერტი არ ადასტურებს საერთო წყაროდ სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მონაცემთა ბაზას.

არასწორია სასამართლოს მიერ მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ გიორგი ქოჩლაძეს ,,ინფოჯორჯიაში'' მუშაობის დროს ხელი მიუწვდებოდა 09-ის საინფორმაციო ბაზასთან.

აპელანტის განმარტებით, აღნიშნული მოსაზრება დაფუძნებულია მხოლოდ 09-ს წარმომადგენლების ზეპირსიტყვიერ განმარტებზე და არა რაიმე სახის მტკიცებულებებზე. ამასთან, სასამართლომ არასწორედ მიუთითა სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერზე, სადაც თითქოს მოპასუხე მხარე დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას.

სასამართლომ ასევე არასწორად მიუთითა იმ გარემოებაზე, თითქოს მოპასუხე მხარემ სასამართლო სხდომაზე დაადასტურა ის გარემოება, რომ ექსპერტიზის ჩატარების დროს შეყვანის თანმიმდევრობაში ("აი დი") დამთხვევათობა ცხადყოფდა, რომ ეს ცხრილები აღებული იყო ერთი და იგივე მონაცემთა ბაზიდან, თუმცა მონაცემთა ბაზის წყაროს მითითება ვერ შეძლო.

აპელანტის განმარტებით, მათ აღნიშნეს, რომ მონაცემთა შეყვანის თანინმიმდევრობაში დამთხვევითობა ლოგიკურია და გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ერთი და იგივე წყაროები აწვდიან ორივე კომპანიას მონაცემებს და ამ ერთი წყაროდან მიღებული მონაცემი რა თანმიმდევრობითაც იქნებოდა მოწოდებული კავშირგაბმულობის ოპერატორი კომპანიის მიერ, იგივე თანმიმდევრობით აისახებოდა ორივე მხარის მონაცემთა ბაზაში. ასევე დაადასტურეს, რომ თუ კომპანია (წყარო) მოწოდებულ ინფორმაციას თან ურთავს "აი დი" კოდს, აღნიშნული "აიდი"-ც აისახება მონაცემთა ბაზაში.

აპელანტმა მიუთითა გადაწყვეტილების 3.2.15. პუნქტზე, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ მონაცემთა ბაზის სტრუქტურასა ანუ ინფორმაციის ლოგიკურ წყობასა და მათ ურთიერთკავშირთან მიმართებაში საექსპერტო დასკვნის გამოკვლევამ შედარებულ

ორივე ბაზაში, გამოყო წყობის ის ბირთვები (დანართი №9 და №10), რომელიც უშუალოდ გამოიყენება საინფორმაციო მომსახურებისათვის. ექსპერტიზამ ასევე გამოკვეთა მონაცემთა ბაზის ის ნაწილებიც, რომლებიც დროებითი ხასიათისაა და არ გამოიყენება საინფორმაციო მომსახურებისათვის (დანართი №7 და №8).

აპელანტის მოსაზრებით, არამართებულია სასამართლოს მხრიდან მონაცემთა ბაზის დაყოფა იმ ასპექტით, თუ ბაზის შემადგენლობის რომელი ნაწილი გამოიყენება უშუალოდ საინფორმაციო მომსახურებისათვის და რომელი ნაწილია დამხმარე ხასიათის, ანუ სადავო საგანს წარმოადგენს მთლიანი მონაცემთა ბაზის იდენტურობა და არა მხოლოდ მისი რომელიმე ნაწილი, რომელიც გამოიყენება უშუალოდ მომხმარებელზე ინფორმაციის გასაცემად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მონაცემთა ბაზებში არსებული ყველა ცხრილის შედარებით მიღებული სურათის დანახვა, რის შედეგადაც ნათლად გამოჩნდება, რომ საერთო რაოდენობიდან დასახელებებში დამთხვეული ცხრილების რაოდენობა შეადგენს მხოლოდ 7.9% და მათში დამთხვეული ველების რაოდენობა არის მხოლოდ 36%.

აპელანტის განმარტებით, გაუგებარია ზემოაღნიშნული ცხრილების შედარებით (დანართი N7, №8, №9 და №10) სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მხარეთა მონაცემთა ბაზების იდენტურობა მონაცემთა ბაზის სტრუქტურისა, იგივე ინფორმაციის ლოგიკური წყობითა და მათი ურთიერთკავშირით სრულად სახეზეა, ვინაიდან:

ა) საექსპერტო დასკვნაში პირდაპირ არის მითითებული, რომ მხარეების ბაზების სტრუქტურა არ ემთხვევა ერთმანეთს (დასკვნის მე-8 პუნქტი);

ბ) ინფორმაციის ლოგიკური წყობა ასახულია ცხრილებში და ველებში, საიდანაც დამთხვევითობა დასკვნის მე-2 პუნქტის მიხედვით, არის მხოლოდ 7.9%-ის (ცხრილებში დამთხვევითობა) 36% (ველების დამთხვევითობა), ხოლო ამ მცირე პროცენტით დამთხვევითობა – ცხრილებსა და ველებს შორის ლოგიკური წყობა და ურთიერთკავშირი – აბსოლუტურად ლოგიკურია.

აპელანტის მითითებით, 3.2.15 პუნქტში სასამართლომ აღნიშნა, რომ მონაცემთა დამთხვევითობა გამოვლინდა სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის და "შპს "ჯეო ცნობარის" ბაზების, აგრეთვე:

1) შინაარსობრივი დამთხვევა (მაგ. ფიზიკურ პირ აბონენტების შემთხვევაში დამთხვევა სახელში, გვარსა და კომენტარებში, იგივე გვხვდება სხვა სახის ჩანაწერებში).

აპელანტის განმარტებით, დამთხვევა სახელსა და გვარში აბსოლუტურად ლოგიკურია, ვინაიდან არ შეიძლება ერთსა და იმავე აბონენტს სხვადასხვა სახელი და გვარი ქონდეს. ასევე, ლოგიკურია სხვა მსგავსი ტიპის ჩანაწერებში ინფორმაციის დამთხვევა, მაგალითად, კომპანიის მისამართები და საინდენტიფიკაციო კოდების დამთხვევითობა ორივე ბაზაში;

2) დამთხვეული ინფორმაციის შეყვანის (ბაზაში შეყვანის) თანმიმდევრობაში დამთხვევა;

აპელანტის განმარტებით, ასეთი სახის დამთხვევები 99% არის ინფორმაციაზე, რომელიც მოწოდებულია სხვადასხვა სატელეფონო კომპანიის მიერ და ეხება აბონენტებს და მათ ტელეფონის ნომრებს. ლოგიკურია, რომ მოწოდებული ინფორმაცია ორივე მხარის ბაზებში აისახა მოწოდებული თანმიმდევრობით. რაც შეეხება დამთხვევითობას "აი დი"-ში, იდენტურ შემოკლებებში, ორთოგრაფიულ შეცდომებში, აპელანტის მოსაზრებით, აღნიშნული სახის დამთხვევითობები წარმოადგენენ მიზერულ (მაქსიმუ დამთხვეული ველების მთლიანი საინფორმაციო სახის მონაცემების რაოდენობის 6%-ს) დამთხვევითობას და გამოწვეულია

[illegible]ათვის ერთი და იგივე პირების მიერ ინფორმაციის აღნიშნული სახით [illegible]ებით.

ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას, სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა ექსპერტო დასკვნით დადასტურებულ და სასამართლო სხდომაზე მოპასუხის მიერ ითითებულ მონაცემთა ბაზების იმ განსხვავებებზე, რომლებიც მხარეთა მონაცემთა ბაზების არსებითი შემადგენელი ნაწილებია და შესაბამისად უმნიშვნელოვანესია მხარეთა ბაზების შედარებისას.

საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება იმისა, რაც დაადასტურებდა ,,საინფორმაციო ცენტრ 09-ის" მიერ მონაცემთა ბაზის შექმნას ან მართლზომიერ მფლობელობაში მიღებას.

სასამართლო არ მსჯელობს მთლიანი მონაცემთა ბაზის იმ მნიშვნელოვან განსხვავებებზე, რაც დაფიქსირებულია ექსპერტების მიერ და არაგუმენტირებულია მოპასუხის მხრიდანაც.

სამართლებრივი საფუძვლები

აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა გამოყენებული კანონები, არ გაითვალისწინა შპს „ჯეო ცნობარის" პოზიცია, მტკიცებულებები და დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელის ზეპირ განცხადებებს, რომლებიც არ იყო გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით. კერძოდ, სასამართლომ სამართლებრივ შეფასებაში მიუთითა და დაეყრდნო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის პირველ, მე-4, მე-18, 54-ე და 59-ე მუხლებს, სადაც ძირითადად მოცემულია ტერმინთა განმარტებები და ავტორის, უფლებათმფლობელების უფლებების დაცვის ფარგლები. თუმცა სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა, მოპასუხის მიერ დასმულ, დავის სამართლიანი გადაწყვეტისათვის საჭირო უმნიშვნელოვანეს შემდეგ საკითხებზე - თუ კონკრეტულ დავაში რა არის მონაცემთა ბაზა, რით დასტურდება მოსარჩელის(სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის) კუთვნილება, განსაკუთრებული უფლებები მონაცემთა ბაზაზე და რითი დასტურდება (მტკიცდება) მოპასუხის მიერ საინფორმაციო ბაზის მითვისების ფაქტი.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება

სააპელაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, მოისმინა მხარეთა წარმომადგენლების მოსაზრებები და მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, შპს ,,ჯეო ცნობარის'' სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს გასაჩივრებული

...ტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე ...ბით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

...ართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ...პუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და ...მოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს – მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საქმე განიხილა არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების გარეშე, ამასთან, არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითებს მათზე.

ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება

სააპელაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2001 წლიდან დღემდე სს ,,ინფოჯორჯია XXI" ეწევა სატელეფონო საინფორმაციო მომსახურებას და ბაზარზე წარმოდგენილია ,,საინფორმაციო ცენტრ 09-ის" სახელით.

სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურების გაწევისათვის მოსარჩელე იყენებს ნუმერაციის რესურს 09-ს, რომლის გამოყენების უფლებას მას ამ საქმიანობისათვის 2007 წლიდან დღემდე ანიჭებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურების გაწევა ეფუძნება სისტემური და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შექმნილ ინფორმაციის საძიებელ ბაზას ე.წ. მონაცემთა ბაზას, რომელიც დამუშავებულია ელექტრონულ ფორმატში კომპიუტერული პროგრამის უზრუნველყოფით. ამ მონაცემთა ბაზის მეშვეობით მოსარჩელის მიერ წარმოებს კონკრეტული სატელეფონო აბონენტისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება და მისთვის მიცემა.

მოსარჩელის ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს ყველა შესაძლო მოთხოვნადი ინფორმაციის მოპოვება/დამუშავება და სათანადო მონაცემთა ბაზაში მოქცევა, რისთვისაც მოსარჩელემ ხარისხობრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით განახორციელა არსებითი ინვესტიცია, შექმნა უნიკალური მონაცემთა ბაზა და მოახდინა მისი დეპონირება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ცენტრში - საქპატენტში. ხსენებული მონაცემთა ბაზა ეფუძნება წლების განმავლობაში მოპოვებულ და დამუშავებულ ინფორმაციას. საწინააღმდეგო მტკიცებულება მოპასუხის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მითითებული გარემოებები მოპასუხეს შესაგებელში სადავოდ არ გაუხდია (იხ. ტ. 1, ს.ფ. 217–229), მან მხოლოდ საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე, საპატიო მიზეზის გარეშე, დააყენა ეჭვქვეშ მოსარჩელის საკუთრების უფლება მის ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზაზე.

2007 წელს მოპასუხე გიორგი ქოჩლაძე გათავისუფლდა სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ს გენერალური დირექტორის თანმდებობიდან.

2006 წლიდან დღემდე შპს ,,ჯეო-ცნობარი" ეწევა სატელეფონო საინფორმაციო მომსახურებას და ბაზარზე წარმოდგენილია ,,საინფორმაციო ცენტრ 08-ის" სახელით.

სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურების გაწევისათვის მოპასუხე იყენებს ნუმერაციის რესურს 08-ს, რომლის გამოყენების უფლებას მას ამ საქმიანობისათვის 2006 წლიდან დღემდე ანიჭებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

მოპასუხე შპს ,,ჯეო-ცნობარის" ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი გიორგი ქოჩლაძე.

ნუმერაციის რესურს 08-ის გამოყენებას სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურებისათვის 2008-2009 წლებში ეწეოდა მოპასუხე შპს ,,ცნობარი 08", 2010-2011 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვემდე (ჩათვლით) – შპს ,,საინფორმაციო სამსახური 08" და 2011 წლის 29 ნოემბრის შემდგომ კი მონაცემთა ბაზით სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურებისათვის ნუმერაციის რესურსი 118-08-ის გამოყენების უფლება მიენიჭა მხოლოდ და მხოლოდ შპს ,,ჯეო ცნობარს".

პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარიდან" ამოღებული მონაცემთა ბაზა წარმოებულია სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მონაცემთა ბაზიდან, შესაბამისად, მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარის" მონაცემთა ბაზის წყაროს წარმოადგენს მოსარჩელე სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მონაცემთა ბაზა.

პალატის აღნიშნული დასკვნა ეფუძნება საქმეში არსებულ ექსპერტიზის დასკვნას იმის შესახებ, რომ „იმ მონაცემებიდან გამომდინარე, რომელთა შედარებაც მოხერხდა და იქნა გამოვლენილი მსგავსებები (იხ. დანართი №11-50), გვაძლევს იმის საშუალებას დავასკვნათ, რომ ისინი აღებულია საერთო წყაროდან (მონაცემთა ბაზიდან, ცხრილებიდან ან სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან)". აღნიშნული გარემოება ექსპერტებმა დაადასტურეს სასამართლო სხდომაზეც და იგი არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ. ამასთან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სადავო მონაცემთა ბაზა შექმნილია სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ის მიერ, რომელმაც 2008 წელს მოახდინა მისი დეპონირება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ცენტრში - საქპატენტში. მითითებული გარემოებები, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, წარმოადგენს სარჩელის საფუძვლიანობის დამადასტურებელ უტყუარ არგუმენტებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამდენად, სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში სასამართლო შებოჭილია არამარტო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებისა თუ შესაგებლის ფარგლებით, არამედ მხარეთა მითითებებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები, რომელთა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებით. ამ მტკიცებულებების შეფასება კი, სამოქალაქო კოდექსის 105-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სამოსამართლოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება.

საპროცესო კოდექსის მითითებულ ნორმებზე დაყრდნობით, პალატა სრულად იზიარებს ზემოთ ხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნავს, რომ მოპასუხე შპს ,,ჯეო ცნობარს" არ წარმოუდგენია მათი გამაბათილებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ სწორად დაასკვნა, რომ შპს ,,ჯეო ცნობარში" არსებული

ონაცემთა ბაზის საწყისად აღებული იყო სს ,,ინფოჯორჯია XXI"-ში დამუშავებული მონაცემთა ბაზის ვერსია, რომელიც არსებობდა საინფორმაციო ცენტრ 09-ში გიორგი ქოჩლაძის დირექტორად მუშაობის მომენტისათვის.

სააპელაციო სასამართლო ასევე სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე, ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი, მე-4, მე-18, 54-ე და 59-ე მუხლები.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს ,,ჯეო ცნობარის'' სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება.

6. საპროცესო ხარჯები

აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით რჩება სახელმწიფო ხაზინაში.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს ,,ჯეო ცნობარის'' სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება;

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, განჩინების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით, დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მეშვეობით;

4. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს განჩინების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე	გ. გიორგიშვილი
მოსამართლეები	თ. ეცადაშვილი
	ი. ადეიშვილი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘᲡ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲞᲔᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ
ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ
ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ
18 07 2018 წ.